



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე



იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე (2. VII. 1933, თბილისი, – 25. XI. 2008, კიევი, დაკრძალულია თბილისში), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978), გამომგონებელი (1983), საქართვე. საინჟ. აკადემიის და ეკოლოგიის, ადამიანისა და ბუნების დაცვის საერთაშ. აკადემიის ნამდვ. წევრი (2000).

ს. იაკობაშვილი

1956 დაამთავრა სპი-ის მეტალ. ფაკ-ტი. 1958–65 მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნაში მეფოლადედ. 1965–69 უკრაინის ე. პატონის სახ. ელექტროშედულების ინ-ტში იყო შედულების ლაბორ. გამგე, ხოლო 1969–73 საქართვე. მეტალ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა ამავე დასახელების ლაბორატორიას.

იყო საერთაშ. ასოციაცია „შედულების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. სპი-ში ჩამოაყალიბა შედულების მეტალურგიის კათედრა და მასთან სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. იყო შედულების მეტალ. და ტექნოლ. კათედრის გამგე (1989–93). დააარსა საქართველო-უკრაინის საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრი შედულებასა და მონათესავე ტექნოლოგიებში გადამზადებისათვის.

ი-ის შრომები ეძღვნება საშემდუბლო ტექნოლოგიების ყველა მიმართულებას. მისმა გამოგონებამ (ფოლადის დამუშავების ახალი ტექნოლოგია და ღუმლის კონსტრუქცია) ლაიფციგის საერთაშ. ბაზრობაზე (1975) დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახ. თაობის „ცს“ სერიის ციკლოკონვერტორული საშემდუბლო კვების წყაროები. კვების წყაროს ცს-200-ის დამუშავებისა და დანერგვისათვის (ლიცენზია გაიყიდა გერმანიაში), 1975 მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია. იყო საერთაშ. სამეცნ. ტექ. ჟურნალ „მეტალურგიის, შედუღებისა და მასალათმცოდნეობის პრობლემების“ მთ. რედაქტორი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თბზ.: შედუღების პროცესების თეორია, თბ., 1980; მეტალურგია, თბ., 1987.
